ქართველობას კონსოლიდაცია სჭირდებოდა. თუ „კვალის“ პუბლიკაციის მიხედვით „წარსულში ყველაფერი, და სხვათა შორის ეროვნული მოძრაობა და იდეოლოგია ბატონ-ყმობის გამტკიცება და გამოხატულება იყო“,[1] აკაკი სპირიდონოვს დასძენდა: „ეროვნულ იდეაზე ვიტყვით, რომ ეს იდეა კი არ არღვევდა, ამტკიცებდა ბატონ-ყმობას, და პატარა ერის „სულის კვეთებას“ რეალურ მიზნათ ჰქონდა გარეშე მჩაგვრელების მოშორება“.[2] 1908 წელს დაწერილ ლექსში კი აკაკი მჩაგვრელთა წინაშე დაჩაგრული ქართველობის გაერთიანების საჭიროებაზე ასე წერდა:

„სანამ მტერი ჩვენ გარეშე
სასიკვდილოდ გვემუქრება,
შინაური ბრძოლა არის
უსუსური უგნურება“...
„და დღევანდელ ქართველებს კი
აღარა აქვსთ ეს შეგნება
და სასკვითოდ გარდაქმნიათ
მათი გრძნობა და გონება“.[3]

აკაკის თქმით, ასევე უნდა ყოფილიყო მანამ, სანამ საქართველო გათავისუფლდებოდა. ამნაირადვე ფიქრობდნენ ილია, იაკობ გოგებაშვილი და სხვები, მაგრამ ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის აღნიშნული აზრი, პოზიცია გაუგებარი აღმოჩნდა.

ზ. ვაჟა-ფშაველა ერის რაობის შესახებ

ვაჟასაც, ისევე როგორც მის წინამორბედებს, გაბმული, სისტემატური თხრობა არ ჰქონია ერის არსზე, მის ცალკეულ ნიშან-თვისებებზე, მაგრამ მის ნაწერებში გაბნეულია ცალკე აზრები, რომლებიც ნათელს ჰფენს მის შეხედულებას საკითხზე. ერის ნიშან-თვისებათა ერთობლიობის თაობაზე ერთგან ვკითხულობთ: „დედა-ენა, ტერიტორია, ისტორიული იდეალები საუკუნო შემა-

[1] გაზ. „კვალი“, მცირე შენიშვნა, №33, 1903.

[2] პირველად ეს სტატია აკაკიმ დაბეჭდა გაზ. „კვალის“ 1903 წლის მომდევნო ნომერში.

[3] თხზ., ტ. III, გვ. 271.

ერთებული ელემენტია „ეროვნებისა“[1] და დასძენდა: „ნაციონალისტები ყველა ამის დაცვაში ჰხედავენ[1] ერის ბედნიერებას და ნურას უკაცრავად, თუ სხვა იდეალებზე ჯერჯერობით სდუმან“[2]. სხვა ადგილას აღნიშნავს დედა-ენას, ისტორიულ წარსულს, სახელოვან მოღვაწეებს, ეროვნულ ტერიტორიას, მწერლობას და სხვ.,[3] მიუთითებს რასის ფაქტორსაც („ანთროპოლოგია მაინც პოულობს ამ განსხვავებათა მოდგმის ერთა შორის“ და იქვე გახაზავს თავის ქალის ძოყვანილობას, ე. ი. კოანიოლოგიურ მომენტს).[4] ვაჟას მიერ ერთგან აღნიშნულია „ეროვნული თვით შეგნება“[4] („გაძლიერება კი ჩვენი ყოვლად შეუძლებელია, თუ ეროვნულს თვით შეგნებას დავკარგავთ“)[5]. სხვაგან ქართველობის მიმართ იგი ასე ამბობდა: „თავის თავის მცნობელი, თავის თავისა და კარგის მგრძნობელი“, ე. ი. გულისხმობს ეროვნულ თვითშეგნებას.

აღნიშნულ ნიშან-თვისებათაგან ვაჟა ყველაზე დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა დედა-ენას („დედა-ენა ისეთი კუთვნილებაა ერისა, რომ თუ იმას დასთმობს ერი, სხვა ყველაფერსაც უგულებელყოფს, ტერიტორიაზედაც ხელს აიღებს“[6]. ამ გარემოებას ერის დიდი ნაწილი, ვაჟას მიხედვით, თეორიულად ვერ აცნობიერებს, მაგრამ ინსტინქტურად კი გრძნობს — მაგალითად როცა რიგითი წარმომადგენელი ისმენს მშობლიურ ენას თუნდაც უღირსი თანამემამულისაგან[7]. ცხადია, დედა-ენის მნიშვნელობა უკეთ ესმის ინტელიგენციას[3], ყველაზე მეტად კი მწერლებს ხელეწიფებათ „ენის სულისა და გულის შეგნება; ამ შეგნებისათვის კი საჭიროა ის ღირსება და მადლი, რომ თვით მწერალს უცემდეს ქართულად გული და მაჯა. ამისთანეები სიტყვაკაზმულ ნაწარმოების ავტორთა შორის უნდა ვეძიოთ“[9]. თავის მხრივ ენის შემოქმედია მთელი ერი („ერი უპირ-

[1] „ეროვნება“ აქ ნახმარია ერის, ხალხის მნიშვნელობით.

[2] ვაჟა-ფშაველა. თხზულებათა სრული კრებული ათ ტომად, ტ. IX, გვ. 455.

[3] იქვე.

[4] იქვე, გვ. 253.

[5] იქვე, გვ. 466.

[6] იქვე, გვ. 301.

[7] იქვე, გვ. 455.

[8] იქვე.

[9] იქვე.

ველეს ყოვლისა დედაა ენისა“).[1] ყოველივე აქედან გამომდინარე, ვაჟა დასკვნიდა დედა-ენის დიდ მნიშვნელობას განათლების მიღებისათვის; ეს უნდა ხდებოდეს ორ-სამ წელიწადს მაინც.[2] გასაგებია, რომ 1905 წელს პოეტის მიერ შედგენილ „ფშავ-ხევსურთა დეკლარაციაში“ მეოცე მოთხოვნად ქართულ ენაზე სწავლება იყო შეტანილი.

ტერიტორიის თაობაზე ვაჟა-ფშაველა წერდა: „მართლაც, დედა-მიწა დიდი საუნჯეა ერისათვის, უტერიტორიოდ ერი ვერაფერი ერია, მის სიცოცხლეს მუდამ საფრთხე მოელის, საეჭვოა მისი მომავალი. როგორც უწყლოდ თევზი ვერ გასძლებს, ისე უტერიტორიოდ ერი“;[3] „ჩვენი ძლიერება სწორედ ამაშია, დღეს ამით უნდა მოგვწონდეს თავი, რომ მიწა-წყალი შევინარჩუნეთ“.[4] ტერიტორია მხოლოდ მასზე მოსახელე გლეხკაცობისათვის როდი არის მნიშვნელოვანი. იგი ესაჭიროება პროლეტარიატსაც, რომლის ინტერესების გამომხატველადაც მოჰქონდათ თავი ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ამის თაობაზე კი ვაჟა შენიშნავდა: „ყოველ პროლეტარიატს ესაჭიროება საცხოვრებელი ბინა, სახლი, რომელიც უნდა იდგეს უსათუოდ დედამიწაზე, უნდა მიმოსვლა უეჭველად იმავე დედამიწაზე და რაც კიდევ ყველაზე უაღრესია, ფაბრიკა-ქარხნებში უნდა შეიმუშავოს იმავე დედამიწის მოსავალი. მაშასადამე პროლეტარიატიც იგივე მონაწილეა ამხანაგი გლეხისა, რომელიც მიწას ამუშავებს, მონაწილეა იმ მიწისა, რომელიც მას სამუშაო მასალას აძლევს“.[5] აშდენად, მშობლიური მიწა-წყალი, ტერიტორია ყველამ უნდა დაიცვას (ცხადია, ეს ეხება მშვიდობიანობის დროსაც). ვაჟა წერდა:

„რა ვუთხრა იმათ, ვინც უთმობს
სხვას მამა-პაპის კერასა?
ვერ არგებს კაცობრიობას
იგი თვის დღეში ვერასა“.[6]

---

[1] თხზ., ტ. IX, გვ. 186.

[2] ტ. X, გვ. 93.

[3] თხზ., ტ. IX, გვ. 427.

[4] იქვე. „ფშავ-ხევსურეთის დეკლარაციაში“ აღნიშნულია, რომ მიწა ყველას უნდა მისცემოდა დასამუშავებლად, თუ ადგილზე არ იყო, მაშინ—საქართველოს სხვა კუთხეებში.

[5] იქვე, გვ. 466.

[6] თხზ. ტ. I, გვ. 371.

ილიას ზეგავლენით, ვაჟასაც მტკიცედ ჰქონდა გაცნობიერებული ისტორიის დიდი მნიშვნელობა ერისათვის. „ყველა ერს, რომელსაც მართლა ერობა ეთქმის, აქვს ისტორია, აქვს წარსული, აქვს საკუთარი ისტორიული იდეალი, სულ ერთია, — ორივე ცალკ-ცალკე კარგად აღნიშნავს თვით საგანს. წარსულის დროის სიკეთე, ქველობა თუ გმირობა აღაფრთოვანებს, ასულდგმულებს აწმყო დროის ერს, ამხნევებს და კარგი მერმისის მოპოვების წადილს უჩენს გულში. ცარიელი სიტყვა როდია, ტყუილად არ ამბობენ ჭკვიანნი: დაღუპულია ის ერი, რომელსაც ისტორია არა აქვს, რომელსაც ხატად წინ არ უდგას საკუთარის ისტორიის ანდერძი“-ო[1]—წერდა იგი. ამიტომაც, მისი თქმით, ევროპაში თვით ცხოვრების ვითარება, თვით საზოგადოება უწყობს ხელს ეროვნულ აღზრდას, რაშიც უპირველესად იგულისხმება საკუთარი ისტორიის სიყრმიდანვე სწავლა.[2] პოეტს, როგორც ვიცით, ისტორიის სახელმძღვანელო არ დაუწერია, მაგრამ წარსულის თემაზე მიუძღვნა ბრწყინვალე ნაწარმოებები, რითაც ხელი შეუწყო მასებში ისტორიის პოპულარიზაციას (ამასვე აკეთებდა ილია, აკაკი და იაკობ გოგებაშვილი). პარადოქსულია რომ ის, რაც ასე მყარად გააცნობიერეს თერგდალეულთა ცნობილმა წარმომადგენლებმა (ვგულისხმობთ ისტორიის მნიშვნელობას ერის ცნების გაგებისათვის) ქართული საზოგადოებრივი აზროვნებისათვის მთელი უკანასკნელ ათწლეულების მანძილზე უცნობი დარჩა. ამაში საბედისწერო როლი ითამაშა ი. ბ. სტალინის „კლასიკურმა“ ნაშრომმა ეროვნული საკითხის შესახებ, რომელიც, ამასთანავე, ბევრს ქართული აზროვნების უდიდეს მიღწევად ეჩვენებოდა.

ვაჟაც, ზოგიერთ სამოციანელთა მსგავსად, აქტიურად ჩაება იკამათში, რომელიც გაიმართა ჯანსაღ პატრიოტულ ძალებსა და კოსმოპოლიტებს (სოციალ-დემოკრატებს) შორის. თუმცა ერთ ხანს იგი თანაუგრძნობდა ხალხოსნებს, მაგრამ მალე ჩამოსცილდა, მიხვ და რა, რომ მხოლოდ საზოგადოების ერთი კლასის ან ფენის ინტერესების დაცვა არასწორია, აუცილებელი იყო მთელი ერის კონსოლიდაცია, შესაბამისად ეროვნული საკითხისადმი დიდი ყურადღების მიქცევა. იგი წერდა: „ამ პარტიის (იგულისხმება ხალხოსნ

---

[1] თხზ., ტ. IX, გვ. 189—190

[2] იქვე, გვ. 188—189.

ბი — გ. ყ.) წადილი ის იყო, რომ გლეხკაცობის კეთილდღეობისათვის ეზრუნა, მისი ეკონომიური ყოფა-მდგომარეობა გაეუმჯობესებინა. თითქმის მარტო გლეხკაცობისაგან შემდგარი საქართველო უნდა დაეარსებინა. დანარჩენი ეროვნული საჭიროებანი დავიწყებული ჰქონდათ, დავიწყებული იყო აგრეთვე თავადაზნაურობა, რომელსაც თითქოს არაფერი უჭირდა და იმათი დასუსტება არაფერი დანაკლისი იყო ვითომ ეროვნული საქმეთათვის. მოკლედ რომ ვსთქვათ, ეროვნული აზრი უარყოფილი იყო იმათგან. ეს პარტია, როგორც თვითონაც იგრძნო ბოლო დროს, ნაძალადევი, ხუხულასავით ნაგები, სხვისი მიბაძვით, „სხვის ჩაძახებით“ ნაკოწიწები გამოდგა; გაიგო ისიც, რომ დღეს ჩვენს მდგომარეობას არ შეეფერებოდა ამგვარი მოძღვრება და უკან დაიხია, თავისი თავი თვითონვე უარჰყო“.[1]

ამგვარი გამოცდილების შემდეგ მით უფრო მიუღებელი იქნებოდა ვაჟასათვის სოციალ-დემოკრატების აზროვნება და, მართლაც, იგი იმთავითვე გაემიჯნა მათ და უფრო მეტიც, დაუპირისპირდა კიდეც. სწორედ ამ უკანასკნელთა მისამართით ამბობდა იგი: „რად გიკვირსთ, მაშასადამე, რომ ჩვენში არიან ისეთები, რომელთაც თავის თავი წარმოუდგენიათ ქვეყნის ლალად, პატრონად, არა პირადი თავის ნაღვაწი, არამედ ერის საუნჯე — ტერიტორია გახადონ საძმო, საკაცობრიო ტაბლად და თვით ერსაც ააღებინონ ხელი ეროვნებაზე“.[2] ლექსში „განა-კაცია?!“ პოეტი წერდა:

„ტვინ-თხელაძეთა მიმყოლი
...რა გზას გაიკვლევს ერია?!
ღმერთო, გვაშორე, ეს ღვარძლი
საიდან გამოგვერია?“;
„ყოფილა, არა მჯეროდა,
მტერობა თავის თავისა“.[3]

როგორც აკაკის, ისე ვაჟასათვის მეტად აქტუალური გახდა პატრიოტიზმისა და კოსმოპოლიტიზმის (იგი ხშირად ამ სიტყვას ინტერნაციონალიზმის შინაარსით ხმარობდა) თანაფარდობა. იგი აღნიშნავდა, რომ „ჩვენში პატრიოტიზმი და კოსმოპოლიტიზმი უმრავლესობას არ ესმის სწორედ, რადგან ეს უმრავლესობა საზრდოობს ქუჩაში მოკრებილი ფრაზებით და მეცნიერულად, სისტემატიურად არ შეუსწავლია არც ერთი მოძღვრება, ამიტომ ამისთანა კოსმოპოლიტებს თავისი თავი პატრიოტებზე გონიერი, ჭკვიანი და მაღალზნეობიანი ჰგონია“.[1] ვაჟას ფიქრით უპირველესი საზრუნავი იყო საკუთარი ერი და შემდეგ მთელი კაცობრიობა, რაც სულაც არ იყო ეროვნული ეგოიზმი. იგი წერდა: „უნდა გვახსოვდეს ყველა ადამიანს ეს ჭეშმარიტება: კოსმოპოლიტიზმის მიმყოლი ერი, იმ დროს, როცა მისი მეზობელი ერები, ანუ სახელმწიფოები, მის წინააღმდეგ კანონებს მისდევენ, დაღუპულია... კოსმოპოლიტური სწავლით ხელმძღვანელობა მხოლოდ მაშინ არის სასარგებლო ერთი ერისათვის, როცა სხვა ერებიც ამავე მოძღვრებას აღიარებენ, თუ არა და არა“.[2]

ასე რომ, საქმე იდეალიზმში (ეთიკური აზრით) როდია: „ჩვენ იდეალებისას ვინ-ღა გვკითხავს, დღეს ჩვენი არსებობა სათუოდ გამხდარა და საჭიროც ისაა, რომ არსებობა შევინარჩუნოთ. ჯერ ღვინო უნდა გვქონდეს ნაშოვნი და მერე ტიკებისთვის ვიზრუნოთ. დიაღ, არსებობა გვესაჭიროება, როგორც ერს. უნდა გვქონდეს რამე, რომ საკაცობრიო იდეალებს ზოგი ვანაცვალოთ, ზოგი რომ გადავცვალოთ და გადავასხვავოთ, უნდა როგორც ერი კულტურულად გავღონიერდეთ, გავძლიერდეთ. გაძლიერება კი ჩვენი ყოვლად შეუძლებელია, თუ ეროვნულს თვით შეგნებას დავკარგავთ, ავითვალისწუნებთ დედა-ენას და მის საშუალებით არ აღვზრდით, არ გავწვრთნით გონებრივ და ზნეობრივ ჩვენ შვილებს, ახალთაობას არ დავზოგავთ და მაგრა არ დავებღაუჭებით ჩვენს მიწა-წყალს და არ მოვღონიერდებით ეკონომიურად“.[3] დიდად გონივრული აზრია, რომელსაც ნორმალურ ვითარებაში თითქოს ერის დიდი ნაწილი უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ასე არ მოხდა, ქართველი ხალხის გამთლიანება ამ იდეის გარშემო ვერ მოხერხდა. კლასთა ბრძოლა, სოციალიზმი და ინტერნაციონალიზმი (ცხადია, ყალბად გაგებული) ბევრისათვის სატყუარად იქცა. ბევრმა ინტერნაციონალიზმისა და პატრიოტიზმის ურთიერთმიმართებაც კი ვერ გაიცნობიერა.

---

[1] თხზ., ტ. IX, გვ. 427.
[2] იქვე, გვ. 289.
[3] ტ. I, გვ. 371.

[1] თხზ., ტ. IX. გვ. 467.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ 455.

მშვენიერ პუბლიცისტურ ნაშრომში, რომელიც „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1905 წელს, ვაჟა აღნიშნავდა: „ზოგს ჰგონია, რომ ნამდვილი პატრიოტიზმი ეწინააღმდეგება კოსმოპოლიტიზმს (ე. ი. ინტერნაციონალიზმს — გ. ყ.), მაგრამ ეს შეცდომაა. ყოველი ნამდვილი პატრიოტი კოსმოპოლიტია (ე. ი. ინტერნაციონალისტი — გ. ყ.) ისე, როგორც ყოველი გონიერი კოსმოპოლიტი (და არა ჩვენებური) პატრიოტია, როგორ? ასე, — რომელი ადამიანიც თავის ერს ემსახურება კეთილგონიერად და ცდილობს თავის სამშობლო აღამაღლოს გონებრივ, ქონებრივ და ზნეობრივ, ამით ის უმზადებს მთელს კაცობრიობას საუკეთესო წევრებს, საუკეთესო მეგობარს, ხელს უწყობს მთელი კაცობრიობის განვითარებას, კეთილდღეობას“.[1] შემდეგ იგი განაგრძობდა: „თუ მთელის ერის განვითარებისათვის საჭიროა კერძო ადამიანთა აღზრდა, აგრეთვე ცალკე ერების აღზრდაა საჭირო, რათა კაცობრიობა წარმოადგენდეს განვითარებულ ჯგუფსა; თუ კერძო ადამიანისათვის არის სასარგებლო აღზრდა ნაციონალური, ინდივიდუალური, აგრეთვე ყოველის ერისათვისაა სასარგებლო ასეთივე აღზრდა, რათა ყოველმა ერმა მომეტებული ძალა, ენერგია, თავისებურება გამოიჩინოს და საკუთარი თანხა შეიტანოს კაცობრიობის სალაროში...“[2] აქედან გამომდინარეობს თითოეული აქტიური ადამიანის, მოქალაქის სამოქმედო ამოცანაც: „ყოველი მამულიშვილი თავის სამშობლოს უნდა ემსახუროს მთელის თავის ძალღონით, თანამოძმეთა სარგებლობაზე უნდა ფიქრობდეს და, რამდენადაც გონივრული იქმნება მისი შრომა, რამდენადაც სასარგებლო გამოდგება მშობელი ქვეყნისათვის მისი ღვაწლი, იმდენადვე სასარგებლო იქმნება მთელი კაცობრიობისათვის“.[3]

ვაჟას მოჰქონდა ედისონის, შექსპირის, სერვანტესის და გოეთეს („ვიოტეს“) მაგალითები, რომლებიც თუმცა თავის სამშობლოში და თავის თანამოძმეთათვის იღვწოდნენ, მაგრამ ახლა ისინი მთელს კაცობრიობას მიაჩნია თავის ღვაწლ შვილებად;[4] „ყველა გენიოსები ნაციონალურმა ნიადაგმა აღზარდა, აღმოაცენა და განადიდა იქამდის, რომ სხვა ერებმაც კი მიიღეს ისინი საკუთარ შვილებად“.[1] დასკვნა ასეთია: „მეცნიერება და გენიოსები გვიხსნიან გზას კოსმოპოლიტიზმისაკენ, მაგრამ მხოლოდ პატრიოტიზმის, ნაციონალიზმის მეოხებით“.[2].

საინტერესოა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის (კოსმოპოლიტიზმი) შემეცხების ვაჟასეული გაგება. მის მიხედვით „პატრიოტიზმი უფრო გრძნობის საქმეა, ვიდრე ჭკუა-გონებისა, თუმცა კეთილ-გონიერება მუდამ ყოფილა და არის მისი მათაყვანებელი და პატივისმცემელი. კოსმოპოლიტიზმი მხოლოდ ჭკუის ნაყოფია, ადამიანის კეთილგონიერებისა, მას ადამიანის გულთან საქმე არა აქვს, იგი საღსარია იმ უბედურობის ასაცილებლად, რომელიც დღემდის მთელს კაცობრიობას თავს დასტრიალებს“[3]. განსხვავებულობაა მათი წარმოშობის დროის თვალსაზრისითაც: „პატრიოტიზმი, როგორც სიცოცხლე და სიცოცხლესთან გრძნობა, თითქო დაბადებასთან ერთად ჰყვება ადამიანს“[4].

ერთი სიტყვით, პატრიოტიზმი და ინტერნაციონალიზმი, ვაჟას სწორი შეხედულებით, ერთმანეთისაგან განუყრელია. იგი დასკვნიდა: „კოსმოპოლიტიზმი ასე უნდა გვესმოდეს: გიყვარდეს შენი ერი, შენი ქვეყანა, იღვაწე მის საკეთილდღეოდ, ნუ გძულს სხვა ერები და ნუ გშურს იმათთვის ბედნიერება, ნუ შეუშლი იმათ მისწრაფებას ხელს და ეცადე, რომ შენი სამშობლო არავინ დაჩაგროს და გაუთანასწორდეს მოწინავე ერებს“;[5] „კოსმოპოლიტიზმი მაშინ მიაღწევს თავის მიზანს, როცა ყველა კაცობრიობის შემადგენელნი ერნი აღიზრდებიან და განვითარდებიან გონებრივ და ზნეობრივ და გაიგებენ“,[6] ასე რომ, „ცალ-ცალკე ეროვნებათა განვითარება აუცილებელი პირობაა მთელის კაცობრიობის განვითარებისა“[7].

---

[1] თხზ., ტ. IX, გვ. 252.
[2] იქვე.
[3] იქვე.
[4] იქვე.

[1] თხზ., ტ. IX, გვ. 253.
[2] იქვე, როგორც ვხედავთ, ვაჟა არ გაურბოდა სიტყვა „ნაციონალიზმს“ საკუთარი თავისა და თანამოაზრეთა მიმართ, მაშინ, როდესაც ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის იგი (ეს სიტყვა) ჩვეულებრივ სალანძღავად, ოდიოზური აზრით იხმარებოდა.
[3] იქვე, გვ. 254.
[4] იქვე, გვ. 253.
[5] იქვე, გვ. 254.
[6] იქვე.

სამწუხაროდ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ვაჟას დროინდელ საქართველოში და შემდეგაც, თვით უკანასკნელ წლებამდე, ბლომად იყვნენ ადამიანები, რომლებიც პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალიზმის ურთიერთმიმართების საკითხზე სხვაგვარი აზრისანი იყვნენ და არიან. ვაჟა მათ მხოლოდ პუბლიცისტიკის ენით კი არა, პოეზიის მეშვეობითაც ებრძოდა. ლექსში „თმა-გრძელა — ჭკუა-თხელა“ (1909) იგი წერდა:

„ჰმიეთ-ჰმოეთობ, სჯახირობ,
ამბობ რაც არი, რაც არა,
ჰმეგობრობ ალი-მუსიას,
ნამწყრალევად ხარ ძმასთანა“;
„ფილოსოფოსის სახე გაქვს
და დონ-კიხოტის კანჭები
გიწყვია ჯიბე-უბეში
ევროპიული აზრები,
უმ-უმი, უღეჭ-უცხონი,
მაღალი სორტის ფრაზები“.[1]

ვაჟამ ყურადღება მიაქცია ერთ მნიშვნელოვან მომენტსაც — ერისა და პიროვნების თავისუფლების საკითხს. ერის ნამდვილი თავისუფლება, ვაჟას შეხედულებით, მაშინ იწყება, როცა თავისუფალი ექნება პიროვნება: „თავისუფლება პიროვნებისა და ერისა ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული. სადაც არაა პიროვნება თავისუფალი, იქ ერი დამონებულია და დამონებულ ერში რა თქმა უნდა პიროვნებაც მონაა, უთავისუფლო, სხვის ხელში საკამაშო ნივთი“.[2] ამ აზრის ნათელსაყოფად იგი მიუთითებდა რუსეთის მაგალითზე: „დამონებული ერი მუდამ ბეჩავია შინაურობაში და რა თქმა უნდა ბეჩავი და სუსტი გარეშე მტერთან საბრძოლველად. ამის დამამტკიცებელი მაგალითი დღევანდელი რუსეთია, რომელიც პატარა იაპონიას დაეტაკა და რქები შემოიმტვრია“.[3]

ვაჟას დროს, და მანამდეც, ქართული საზოგადოებრივი აზროვნების ყურადღების არეში მოექცა ერის დაბერების პრობლემა. ეს, ცხადია, ო. კონტისა და დრეპერის ზეგავლენით არ მოხდა, თვითონ უშუალო ქართულმა სინამდვილემ ქართველობის ერთი ნაწილი

[1] თხზ., ტ. IX, გვ. 410.
[2] იქვე.
[3] იქვე, გვ. 412.

ეროვნულ სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. გიორგი მუხრანსკისა და ქართველი ხალხოსნების შესახებ უკვე ვწერდით. ვაჟასათვის, ბევრისაგან განსხვავებით, უკვე ემოციურ დონეზე იყო მიუღებელი ერის დაბერების იდეა: „ადამიანის გონება ყველას და ყველაფრის დაბერებას შეურიგდება, ხოლო სიბერე ერისა საშინელებაა. ხოლ იცით, არიან და იყვნენ მეცნიერნი იმ აზრისანი, ვითომც შეიძლებოდეს ერის სიბერე და სიკვდილიც კი, როგორც სიყრმე, სიჭაბუკე, დავაჟკაცება და სხვა. ამტკიცებენ ისინი ამას იმის გამო, რადგან იგონებენ ყოფილ, არსებულ და აწ მოსპობილ ერებს. თუმცა ძნელია იმათ დაეთანხმოს კაცი, მაგრამ არა უშავს, ჩვენც თანახმა გაუხდეთ, ხოლო ერთი რამ უნდა შევნიშნოთ. იმათ მოძღვრებაში შეიძლება ერი დაბერდეს სხვადასხვა პირობებისა და მიზეზებისა გამო, და იგი მალე ისევ გაახალგაზრდავდება, თუ სხვა, მაცოცხლებელ პირობებში ჩააყენებ, რაც ცალკე პიროვნებას არ ძალუძს. ცალკე აღებული და დაბერებული ადამიანის ბოლო მხოლოდ და მხოლოდ სიკვდილია. რის გამო შეიძლება დაბერდეს ერი, თუმცა იგი მუდამ ახლდება — ახალგაზრდათა შემატებით?“.[1] პოზიტიური პასუხი ასეთი იყო: „ერს დააბერებს მხოლოდ მონობა, ისეთი ცხოვრების პირობები, როცა მას საკუთარი ნების, ძალ-ღონის გამოჩენის საშუალება მოესპობა. ხანა საჭირო არ არი, ეს შეიძლება ერის სიჭაბუკის დროს მოხდეს. ენერგია ერისა არ უნდა იყოს შებორკილ-შეჯაჭვული, უნდა ჰქონდეს მას სარბიელი. დიაღ, მონობა საშინელებაა, მომაკვდინებელია, როგორც სიბერე, და იგი იწვევს ერის სიბერეს, სხვაფრივ ერის სიბერე და სიკვდილი შეუძლებელია მანამდე, სანამ მზე ანათობს ღიით და ღამით მთვარე“.[2]

მაგრამ კაცობრიობის ისტორიამ ხომ უამრავი მაგალითი იცის ერის დაჩაჩანაკება-სიკვდილისა. თუნდაც რომის იმპერიის მაგალითი ავიღოთ. ამის თაობაზე დიდი პოეტი წერდა: „დაბერდა ოღონდაც; დააბერა და დააუძლურა. ყველა ერსაც ესევე დაემართება, უკეთუ იგი სიცოცხლის წყაროს არ ეწაფება, თავისის ცხოვრებისათვის გამოსადეგს ვითარებას არ შეჰქმნის და, თუ აქვს, არ ინახავს, მაგრად არ უჭიდია ხელი. ეს დღესავით, მზესავით ნათელია,

[1] თხზ., ტ. IX, გვ. 382—83.
[2] იქვე, გვ. 381.

აშკარაა".[1] ამდენად თუ ერი ბერდება და შეიძლება მოკვდეს კიდეც, ეს ფატალურად როდია განსაზღვრული, არამედ დამოკიდებული სუბიექტური ფაქტორისაგან. რა თქმა უნდა, მკაცრი მეცნიერული თვალსაზრისით ვაჟას პოზიციის სისუსტე ამ საკითხში აშკარაა, მაგრამ მთავარია სწორი ალღო, რითაც იგი საერთოდ პრობლემას განიხილავდა. მისასალმებელია მისი პათოსი, რომელიც ამ სიტყვებშია გამჟღავნებული: „ინტელიგენციას ან კი რა უფლება გვაქვს — ჩვენს სიცოცხლით სავსე ერს ამისთანა შეუფერებელი განაჩენი დაუდგინოთ ასე თამამად, კადნიერებით?!"[2]

§ 2. მიხაკო წერეთლის ნააზრევი ერის საკითხზე

XX საუკუნის ქართულ საზოგადოებრივ აზროვნებაში ერის საკითხის გაცნობიერებაში ყველაზე მეტი მიხაკო წერეთელმა გააკეთა. სწორედ აღნიშნული საკითხის თაობაზე ჰქონდა მას გამოქვეყნებული მოზრდილი მონოგრაფია „ერი და კაცობრიობა". ასე რომ, მიხაკო წერეთელი საქართველოს ისტორიაში პირველი გახლდათ, ვინც ეცადა მონოგრაფიული ფორმით, სისტემატური სახით განეხილა ჩვენთვის დიდად აქტუალური საკითხი. (მანამდე, 1909 წელს, მას გაზეთ „ერში" გამოქვეყნებული ჰქონდა დიდი სტატია „ერის უფლება"). წიგნი დაწერილი იყო თანადროული, ახალი სოციოლოგიური თეორიების საფუძველზე, რის გამოც მისადმი ინტერესი, კერძოდ სოციოლოგიური, დიდია დღესაც კი.

შევეცდებით მოკლედ გადმოვცეთ მიხაკო წერეთლის ნააზრევი ერის თაობაზე, ვეცდებით ნათელყოთ მისეული თეორიული მემკვიდრეობის დიდი უპირატესობა ი. ბ. სტალინის ანალოგიურ ნაშრომთან შედარებით.

უწინარესად უნდა გავითვალისწინოთ ის იდეოლოგიური ბრძოლის ფონი, რომელმაც განაპირობა მიხაკო წერეთლის „ერისა და კაცობრიობის" შექმნა. ავტორის პათოსი მიმართული იყო როგორც რუსი შოვინისტების, ისე (უფრო მეტად) ქართველი სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ, რომლებიც ერისადმი, კერძოდ ქართველობისადმი, უკიდურესი ხიჭილიზმით იყვნენ განწყობილნი. ამათგან განსხვავებით, მიხაკო წერეთელს ყოველთვის, სიცოცხლის ბოლომდე, 1965 წლამდე, ახასიათებდა გულმხურვალე, ღრმა პატრიოტიზმი, ანუ სხვანაირად რომ ვთქვათ, მის ფასეულობით სკალაში, სისტემაში ერს უპირველესი ადგილი ეკავა. აღნიშნული, ცხადია, სულაც არ გამორიცხავდა ინტერნაციონალიზმს. იგივე უნდა ითქვას ანარქიზმის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენლის ვარლამ ჩერქეზიშვილის მიმართ, რომლის პატრიოტულმა, ეროვნულმა პოზიციამ სათანადო იმპულსი მისცა „ერისა და კაცობრიობის" ავტორს (სხვათა შორის, წიგნი სწორედ ვარლამ ჩერქეზიშვილისადმია მიძღვნილი).

თუ ქართველი სოციალ-დემოკრატებისათვის უმთავრესი იყო ინტერნაციონალიზმი, უფრო ზუსტად კოსმოპოლიტიზმი, ისე რომ ამ ფონზე პატრიოტიზმს, საქართველოსადმი სიყვარულს, ადგილი ძალიან ცოტა რჩებოდა, მიხაკო წერეთელი სხვანაირად ფიქრობდა. მისი აზრით, ამოსავალი არის ერი, „რადგანაც ინტერნაციონალიზმი ნიშნავს ერთა შორის განწყობილებასა (ურთიერთობებს — გ. ყ.), უფლებრივ და ვალდებულებითს დამოკიდებულებასა. თვით ცნებანი ერისა და მისი უფლებებისა აუცილებელია ინტერნაციონალიზმის საცოდნელად".[1] აზროვნებაც შესაბამისად უპირველესად ერიდან, როგორც უშუალო, პირველადი სინამდვილიდან უნდა გამოდიოდეს.

კიდევ მეტი, ნაღდი ინტერნაციონალიზმისათვის სულ ერთი როდია ერები დამონებული იქნებიან თუ თავისუფალი. აი რას წერდა მიხაკო წერეთელი ამის თაობაზე: „განსაკუთრებით იმ ერთა შორის იყო ღრმად ფესვგადგმული ინტერნაციონალიზმი, სადაც ეროვნული საკითხი გადაწყვეტილი იყო, სადაც ერს, როგორც მთელს სოციალურს ორგანიზმს, საფრთხე არ მოელოდა";[2] „იმ ქვეყნებში კი, რომელნიც მონებად დარჩნენ, დღესაც ინტერნაციონალიზმს ეროვნული პრობლემის მხრით დიდი დაბრკოლება აქვს და ექნება ყოველთვის თუ ერს სრულიად არ დაუკარგავს სურვილი სიცოცხლისა და დამოუკიდებლობისა".[3]

თუმცა მიხაკო წერეთელი, მისივე აღიარებით, ერთ დროს თანაუგრძნობდა მარქსიზმს, მაგრამ ეს ცოტა ხანს გაგრძელდა, რადგან

---

[1] თხზ. ტ. IX, გვ. 383.
[2] იქვე.

[1] მიხაკო წერეთელი, ერი და კაცობრიობა, 1910, წინასიტყვაობა, გვ. XI.
[2] იქვე, გვ. X.
[3] იქვე, გვ. X—XI.